სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5

ქ. თბილისი **2024 წლის 5 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. ლელა ბახტაძე 5. მარინა მაისურაძე 6. ილარიონ ფიფია 7. ელენე გაჩეჩილაძე 8. ლიკა წერეთელი 9. ილია თავხელიძე 10. ლია მაჭავარიანი 11. ნათელა არჩვაძე 12. ამირან ბიბილაშვილი 13. მარიამ ახალკაციშვილი 14. მარინა გარიშვილი 15. მაია ივანიძე 16. ბარბარა მახარაძე 17. საბა ქვათაძე 18. ნათია სვანიძე 19. ავთანდილ ტუკვაძე 20. კახა კუჭუხიძე 21. ვლადიმერ მარგველაშვილი 22. ზურაბ ჩხაიძე 23. შალვა ფარულავა 24. გიორგი პატარაია 25. ანა ფაშაევა 26. კახაბერ ლორია 27. ანასტასია ზაქარიაძე 28. ლერი თავაძე 29. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 30. ინგა სანიკიძე 31. საბა გიორგაძე 32. ლუკა მამალაშვილი 33. ლუკა ნარმანია 34. ციური სუმბაძე 35. ლალი ახალბედაშვილი 36. ადა ნემსაძე 37. თეიმურაზ მაჩაიძე 38. გიორგი მამარდაშვილი 39. ედიშერ ფუტკარაძე 40. მანანა ნიკოლაიშვილი 41. მარინე ხუციშვილი 42. გვანცა გვანცელაძე 43. ნოდარ ლომიძე 44. თეა შავაძე 45. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:1. ზურაბ აბაშიძე 2. ავთანდილ ამირანაშვილი 3. ნათელა ანანიაშვილი 4. ცისანა გავაშელი 5. ვასილ გონაშვილი 6. ალექსანდრე კუხიანიძე 7. გია ლობჟანიძე 8. ვახტანგ მაღრაძე 9. ავთანდილ სილაგაძე 10. ომარ ფურთუხია 11. ზაქარია ქიტიაშვილი 12. რამაზ ქურდაძე 13. თამაზ ყარალაშვილი 14. მორის შალიკაშვილი 15. რევაზ შანიძე 16. თემურ შენგელია 17. მარინე ჩიტაშვილი 18. მარი წერეთელი 19. ეთერ ხარაიშვილი 20. მამუკა ხუსკივაძე (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველშვილმა აღნიშნა, რომ მ.წ. 4 ივნისს ჩანიშნული სენატის სხდომა ქვორუმის არქონის გამო ვერ შედგა. შესაბამისად, დღეის სხდომაზე დღის წესრიგის პროე ქტი წარმოდგენილია იგივე სახით.

დღის წესრიგი:

1.„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური

საბჭოს 2024 წლის 29 მარტის №45/2024 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: შოთა ფოთოლაშვილი);
2.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

1. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 მარტის №45/2024 დადგენილება. საკითხის მომხსენებელმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ფოთოლაშვილმა, ისაუბრა წარმოდგენილი დოკუმენტის ირგვლივ. აღნიშნა, რომ მასში განხორციელებული ცვლილებების, ასევე დოკუმენტის სტილისტურად და ტექნიკურად გამართვის უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა დებულების ახალი რედაქციით დამტკიცება. შესაბამისად ძალადაკარგულად იქნა ცნობილი მოქმედი დებულება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 მარტის №45/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 3);

2.დასამტკიცებლად წარმოდგენილია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილება.
როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, წესდების ცვლილების პროექტი წარმოდგენილი სახით განხილული იქნა თსუ აკადემიური საბჭოს სხდომაზე, სადაც რიგ მუხლებთან და ფორმულირებებთან დაკავშირებით გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, რაზეც დღევანდელ სხდომაზე დეტალურად მოხსენდება დამსწრე საზოგადოებას. ასევე თხოვნით მიმართა სხდომაში მონაწილე პირებს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი მხოლოდ წესდების პროექტია, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება თუ შენიშვნა მსჯელობისთვის, ნებისმიერ მუხლთან თუ პუნქტთან დაკავშირებით.
ამის შემდგომ მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ მუხლებრივად და პუნქტობრივად დაიწყო წარმოდგენილი ცვლილების პროექტის განხილვა.

აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესდების პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამის ნაწილებში დაფიქსირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელის შეცვლას, ხსენებული სამინისტროსათვის განსაზღვრული ახალი სახელით - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რაც განპირობებულია უნივერსიტეტის წესდების ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან.

ცვლილებების პროექტით ასევე ახლებურად განიმარტება სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია, როგორც სტატუსის შეჩერების საფუძველი, ამჟამინდელი რედაქციით იგი გათანაბრებულია მხოლოდ ფინანსურ დავალიანებასთან, რაც მისი მხოლოდ ერთი სახეობის დატვირთვაა და ამგვარი გაიგივება იწვევს დაბნეულობას, რადგან ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის სწავლის საფასურის გადახდა დადგენილი წესით, მომავალ სასწავლო სემეტრზე საგნების არჩევისა და სწავლის მიზნით და არ წარმოადგენს მხოლოდ ფინანსური დავალიანების ქონის აღმნიშვნელ ინსტიტუტს. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებებით აღნიშნული ხარვეზი სწორდება.

ცვლილებების პროექტით ასევე იცვლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის ფორმულირება, კერძოდ, დღევანდელი ფორმულირებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ,,ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება", რაც არ წარმოადგენს სრულფასოვან ფორმულირებას, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტს არ წარმოადგენს მხოლოდ სასწავლო კურსი, რაც აჩენს უთანასწორობის, დისკრიმინაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, ცვლილებების პროექტით ხორციელდება სათანადო რეაგირება, ნორმის ფორმულირების, დასარეგულირებელი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ობიექტურობისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის შინაარსობრივი სისწორის უზრუნველსაყოფად.

ცვლილებების პროექტით, ასევე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს ემატება კიდევ ერთი საფუძველი, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224/ნ ბრძანების შესაბამისად.

ცვლილებების პროექტით ასევე დაკორექტირდა წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ" ქვეპუნქტი, შესაბამისად საქართველოს საკონსიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის განჩინება №1/4/1691– ვებგვერდი, 01.03.2023წ.)

წესდების ცვლილებები არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს, არც სახელმწიფო და არც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მომხსენებელმა ცალკე გამოყო და ისაუბრა იმ მუხლებზე და ფორმულირებებზე, რომელიც აკადემიური საბჭოს მხრიდან მსჯელობის საგანი გახდა, კერძოდ, წარმოდგენილი წესდების ცვლილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, მე-9

მუხლის მე-10 პუნქტი, 21-ე მუხლის „4^1“ პუნქტი, 33-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ 2^1 დამატება და 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვასთან, ასევე თავისუფალი საუნივერსიტეტო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ნორმების შემოღებას.

2.მე-9 მუხლის მე-10 პუნქტით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის აუცილებელი ხმების ოდენობის შეცვლას. აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით აუცილებელია საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, ცვლილებების პროექტით შემოთავაზებულია მოდელი, როდესაც აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარისი იქნება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობა.

3. 21-ე მუხლის „4^1“ პუნქტის მიხედვით, ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალს, კერძოდ, ცვლილების პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის დანიშვნის ახლებურ წესს. კერძოდ, ამჟამად არსებულ მოთხოვნასთან ერთად, რომლის მიხედვითაც დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური თნამდებობის მქონე პირს, ცვლილება ითვალისწინებს დეკანის მოადგილის თანამდებობაზე ზოგადად შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალის დანიშვნის შესაძლებლობას.

4. 33-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ 2^1 დამატებით გათვალისწინებულია არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა მოადგილეების დანიშვნა ვადით და არა უვადოდ (როგორც ეს დღეის მდგომარეობით არის რეგულირებული). ცვლილებების საფუძველზე ხსენებული თანამდებობების პირთა მოადგილეების დანიშვნის ვადა განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული თანამდებობაზე პირის არჩევის/დამტკიცების ვადით და მოადგილეების თანამდებობაზე დასაქმებული პირები გათავისუფლდებიან თანამდებობიდან ავტომატურ რეჟიმში შესაბამის ადმინისტრაციულ თანამდებობის პირის არჩევის/დამტკიცების ვადის გასვლისთანავე, თუმცა შეასრულებენ მოვალეობას ახალი კანდიდატის არჩევის/დამტკიცების მომენტამდე. ამავე დროს, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით არსებული მოადგილეების უვადო თანამდებობეზე დასაქმებულია შესაბამისი პერსონალი, წესდების ცვლილებები ითვალისწინებს შესაბამის ნორმას, რომლის მიხედვითაც მათი დასაქმების ამჟამინდელი ვადა განისაზღვრება შესაბამისი არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის ამჟამად არსებული პირების არჩევის/დამტკიცების არსებული (დარჩენილი) ვადებით.

5. 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით ცვლილების პროექტი ითვალისწინებს სექსუალური შევიწროების საკითხთან დაკავშირებული წარმოების წესის შემოღებას.

ყველა ზემოთმითითებულ პუნქტთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის მონაწილეებს გააცნო აკადემიური საბჭოს წევრთა მიერ, აღნიშნული საკითხის განხილვისას გამოთქმული მოსაზრებები თუ შენიშვნები, რომლის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ასევე აკადემიური საბჭოს წევრები. საბოლოოდ, გაზიარებული იქნა პოზიცია, რომ ამოღებული იქნეს წარმოდგენილი წესდების ცვლილების პროექტიდან მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი და დარჩეს წესდების არსებული ჩანაწერები.

ამასთან, ნაწილობრივ გაზიარებული იქნა აკადემიური საბჭოს წევრის, მარინა ჩიტაშვილის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება 21-ე მუხლის „4^1 “ პუნქტთან დაკავშირებით და მსჯელობის შედეგად ამ პუნქტის შინაარსი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
,,4^1 . სასწავლო სფეროში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალს, რომელსაც გააჩნია სასწავლო პროცესის ორგანიზების გამოცდილება. სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილე, სულ მცირე, უნდა ფლობდეს დოქტორის კადემიურ ხარისხს.“.
სხდომაში მონაწილე პირები შეთანხმდნენ, რომ წესდების ცვლილების პროექტის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,10. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. აკადემიური საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. აკადემიური საბჭოს წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.“.

ხოლო 33-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

,,2^1.უნივერსიტეტში არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის მოადგილე, მოადგილის თანამდებობაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ინიშნება აღნიშნული თანამდებობის პირის არჩევის/დამტკიცების ვადით. შესაბამისი ადმინისტრაციული თანამდებობის პირისუფლებამოსილების შეწყვეტისას აღნიშნული ადმინისტრაციული თანამდებობის პირის მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ ახალი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის არჩევისთანავე/დამტკიცებისთანავე.“.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე: 45

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში თანდარული სახით (დანართი #4);
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შეტანილი ცვლილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მიწურულს, სხდომას შემოუერთა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - ჯაბა სამუშია. მან წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა წესდებაში ცვლილების მხარდაჭერისთვის. ასევე მიაწოდა ინფორმაცია რიგ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ სრული დატვითვით მუშაობს 1-ლი კორპუსის ეზოში ახლადგახსნილი სტუდენტური სასადილო და კმაყოფილება გამოხატა ამ ფაქტის,

ასევე მაღლივის სასადილოს ფუნქციონირების გამო. აღნიშნა, რომ ამ კუთხით მუშაობა გრძელდება. იგეგმება კვების ობიექტის გახსნა თსუ მე-8 სასწავლო კორპუსში, მე-6 კორპუსის ქვედა ფართში კი ლიტერატურული კაფის მოწყობა. აღნიშნა, რომ დასრულდა უნივერსიტეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლებისათვის გამოცხადებული ტენდერი. უნივერსიტეტს ეყოლება თავისი ტრანსპორტი ექსპედიციებისა თუ სხვა აქტივობებისათვის. რექტორმა ასევე ისაუბრა 1-ელ და მე-2 კორპუსს შორის დაგეგმილ ისტორიულ მშენებლობაზე და აღნიშნა, რომ რომ უახლოეს პერიოდში პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები გამოტანილი იქნება საჯარო განხილვისთვის.

გამოსვლის დასასრულს კი, სამომავლო გეგმების უკეთ განსასაზღვრად, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სასაწვლო პროცესის ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნა, რომ იგეგმება სწავლის 18 სექტემბრის (ოთხშაბათის) ნაცვლად, 23 სექტემბერს (ორშაბათს) დაწყება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციას მადლობა გადაუხადა თსუ 1-ელ კორპუსის ეზოში კვების ობიექტის გახსნის გამო, რის შემდეგაც სენატის სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2024 წლის 5 ივნისი, #5 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -
2. მიხეილ ჩიკვილაძე -
3. ნინო ფარესაშვილი -
4. ლელა ბახტაძე -
5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -
2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -

6. ლიკა წერეთელი-

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ზერიძე-

4. დავით შუბითიძე-

იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ღლონტელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. გიორგი ლაბაძე -

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტ

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

ალბერტ ბიკოფლიანშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარიამ გელოვანიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია- ა. პ

დანართი 2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია

(2024 წლის 5 ივნისი, N5 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბამიძე ზურაბ
3. ავაზამვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გავაშელი ცისანა
8. გონაშვილი ვასილ
9. ზაუტაშვილი მარინე
10. კუხიანიძე ალექსანდრე
11. ლობჟანიძე გია
12. ლომიძე გაგა
13. მაღრაძე ვახტანგ
14. მინდაძე ნინო
15. სადრაძე ნინო
16. სილაგაძე ავთანდილ
17. ფერაძე გოჩა

18. [illegible] მანარ

19. ქიტაიშვილი ზაქარია

20. ჭურდაძე რამაზ

21. ფოფხაძე ალექსანდრე

22. ყარალაშვილი თამაზ

23. მაგლაყაძე ნოდარ

24. მალიკაშვილი მიხის

25. მანიძე რევაზი

26. მარაშიძე ნინო

27. მენგელია თემური

28. ჩიტაშვილი მარინე

29. ცისკარიძე ალექსანდრე

30. წერეთელი მარი

31. ხარაიშვილი ეთერ

32. ხაჩიძე მანანა

33. ხუსკივაძე მამუკა

34. ხუციშვილი ქეთევან

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – „სამსახური“) არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახურის დებულებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის სფერო და ძირითადი ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;
გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;
ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე პროცედურების საშუალებით, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;
ბ) სწავლების ხარისხის ამაღლება სწავლის, სწავლებისა და შეფასების, აგრეთვე კვლევის თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) დანერგვის ხელშეწყობით და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით;
გ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან თანამშრომლობით;
დ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა შესაძლო მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვ.);

ე) კავშირების დამყარება და თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

ვ) უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნისა და განახლების უზრუნველყოფა;

ზ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიული მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;

თ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან ამ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება, შემდგომი დამუშავება და მონაცემთა ბაზაში ასახვა;

ი) უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების, პერსონალის მართვის, კვლევების, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

კ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

ლ) აკადემიური პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში;

მ) პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საბაკალავრო-სამაგისტრო, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება, მათი ტექნიკური მონიტორინგის და აკადემიური ექსპერტიზის უზრუნველყოფა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით;

ნ) პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საბაკალავრო-სამაგისტრო, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით;

ო) პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საბაკალავრო-სამაგისტრო, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებაში;

პ) რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის (კოორდინატორებისთვის), აგრეთვე ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოებისთვის პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საბაკალავრო-სამაგისტრო, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;

ჟ) სტუდენტებისა და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვ.) გამოკითხვის კითხვარების შემუშავება, გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით;

რ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წერილობითი მომართვების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიმართ;
ს) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესის შემუშავებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის შედგენისა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;
ტ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ავტორიზაციასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;
უ) მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან და პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობით;
ფ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შემუშავება;
ქ) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტებისათვის წინადადებების შემუშავება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
ღ) მონაწილეობა სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში;
ყ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

3. სამსახური თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის სტრუქტურაში შედის ცენტრი და ორი განყოფილება.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მტკიცდება 4 წლის ვადით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისთვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. სამსახურის უფროსი არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

4. სამსახურის უფროსს ჰყავს უფროსის მოადგილე/მოადგილეები.

5. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით სამსახურის უფროსის

წარდგინების საფუძველზე.

6. სამსახური შედგება ცენტრისა და განყოფილებებისგან:

ა) საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და შეფასების ცენტრი;
ბ) ინსტიტუციური კვლევებისა და განვითარების განყოფილება;
გ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განყოფილება;

7. სამსახურის უფროსის მოადგილეს, ცენტრის ხელმძღვანელს, განყოფილების უფროსებსა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სამსახურის უფროსის წარდგინებით.

8. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სამსახურისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის ცენტრის ხელმძღვანელი, სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის ცენტრის/განყოფილების მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), სამსახურის ცენტრის/განყოფილების მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), სამსახურის ცენტრის/განყოფილების წამყვანი სპეციალისტი და სამსახურის ცენტრის/განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

9. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების (ექსპერტი, კონსულტანტი, მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი) მოწვევა.

მუხლი 4. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
გ) ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
დ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;
ე) სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, სამსახურის თანამშრომელთა წახალისების ან დისციპლინური (ან სხვა სახის) გადაცდომისას პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარუდგენს წინადადებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
ვ) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში;
ზ) წარმოადგენს სამსახურს უნივერსიტეტის სხვა მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;
თ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამსახურის უფროსის მოადგილე/მოადგილეები:

ა) ხელს უწყობს სამსახურის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
ბ) ორგანიზებას უწევს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებას;
გ) მონაწილეობს სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრაში;
დ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისთვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;
ე) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს;
ვ) სამსახურის უფროსის წარდგინებით ასრულებს მის მოვალეობას.

3. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის და აძლევს დავალებებს;
გ) ორგანიზებას უწევს ცენტრისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
დ) პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;
ე) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს.

4. განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, სამსახურის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს და აძლევს დავალებებს;
გ) აკონტროლებს განყოფილების თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს;
დ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
ე) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს სამსახურის უფროსს;
ვ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ზ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;
თ) სამსახურის უფროსის წარდგინებით ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 5 . საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და შეფასების ცენტრი

1. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და შეფასების ცენტრის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საბაკალავრო-სამაგისტრო, მაგისტრატურის, დოქტორანტურის და უწყვეტი განათლების) გეგმიური ან/და არაგეგმიური ზოგადი ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით;
ბ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო

პროგრამების ექსპერტიზის წლიური გეგმის შედგენა;
გ) საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული სასწავლო კურსების, სტუდენტთა განაწილების და სასწავლო მასალის შესაბამისობის ექსპერტიზა;
დ) საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამებში არსებული სასწავლო კურსების, სტუდენტთა განაწილების და სასწავლო მასალის ექსპერტიზისა და შეფასების გამჭვირვალე მეთოდოლოგიისა და შეფასების ინდიკატორების შემუშავება, მუდმივი განვითარება და საგანამანათლებლო საჭიროებებზე მორგება;
ე) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოწვევა;
ვ) სასწავლო კურსების დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო თემატიკის (საგამოცდო ბილეთები/საკითხები) შესწავლა და შესაბამისობის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუსთან;
ზ) რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა სამსახურის უფროსისთვის ცენტრის კომპეტენციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული გასაუმჯობესებელი მიმართულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;
თ) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტებისთვის წინადადებების მომზადება განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ი) საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება და საქმინაობიდან გამომდინარე საჭირო რეკომენდაციების შემუშავება;
კ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების და სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. ინსტიტუციური კვლევებისა და განვითარების განყოფილება

1. ინსტიტუციური კვლევებისა და განვითარების განყოფილების ფუნქციებია:

ა) მონაწილეობა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასების პროცესში;
ბ) სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესში მონაწილეობა ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით;
გ) მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების პროცესში;
დ) საუნივერსიტეტო კვლევების ორგანიზება და შედეგების შეფასება:
დ.ა) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგების დამუშავება და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;
დ.ბ) სტუდენტთა შეფასებების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;
დ.გ) პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და სხვ.) საქმიანობის შეფასების მიზნით გამოკითხვის ორგანიზება, გამოკითხვის შედეგების დამუშავებაში მონაწილეობა, შედეგების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურებისათვის, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;
ე) საუნივერსიტეტო კვლევებისათვის საჭირო კითხვარების დახვეწა/განახლება;
ვ) მონაწილეობა უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების პროცესში;
ზ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
თ) მონაწილეობა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის

შექმნისა და განახლების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ი) მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებთან და პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობით;
კ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება შემდგომი დამუშავებისა და მონაცემთა ბაზაში მათი ასახვის მიზნით;
ლ) მონაწილეობა სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში;
მ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;
ნ) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტებისთვის წინადადებების მომზადება განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ო) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების და სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განყოფილება

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განყოფილების ფუნქციებია:

ა) სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესში მონაწილეობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების, აგრეთვე კვლევის თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) დანერგვის ხელშეწყობით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით;
ბ) მონაწილეობა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
გ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
დ) მონაწილეობა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნისა და განახლების პროცესში განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ე) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისათვის აკრედიტაციის შესახებ ნორმატიული მოთხოვნების, ასევე, მასში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
ვ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება შემდგომი დამუშავებისა და მონაცემთა ბაზაში მათი ასახვის მიზნით;
ზ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში მონაწილეობა;
თ) აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში;
ი) რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის (კოორდინატორებისთვის) საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;
კ) საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის გარე შეფასების განმახორციელებელი უფლებამოსილი დაწესებულების შესაბამისი

სტრუქტურული ერთეულის რეკომენდაციების შედეგად, უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა;
მ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წერილობითი მომართვების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
ნ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დანართის შევსების წესის შემუშავებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის შედგენისა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;
ო) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;
პ) აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტებისთვის წინადადებების მომზადება განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
ჟ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;
რ) აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა;
ს) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების და სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 8. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

N 10859/10
17.04.2024

10859-10-3-202404171445

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 მარტის №45/2024 დადგენილებას.

დანართი: 10 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 45/2024 29 მარტი 2024 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ხ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის 27 მარტის №8792/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 მარტის №6 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი №1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №113/2017 დადგენილება.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http: www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
6. დადგენილება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის
ბრძანება № /ნ
2024 წლის ივნისი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

1. პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან).“.

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3. უნივერსიტეტის სტატუსი და სახელმწიფო კონტროლი**

უნივერსიტეტი დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს, ამ

წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.“.

3. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ლ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;“;

ბ) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) ადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების, საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების პირობებს.“.

4. მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. აკადემიური საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. აკადემიური საბჭოს წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.“.

5. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშავებს და აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილავს უნივერსიტეტის წესდების, წესდების ცვლილების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;“.

6. მე-20 მუხლის„ვ²“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ[2]) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;“.

7. 21-ემუხლის „4[1]“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4[1]. სასწავლო სფეროში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალს, რომელსაც გააჩნია სასწავლო პროცესის ორგანიზების გამოცდილება. სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილე, სულ მცირე, უნდა ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.“.

8.33-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატის შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:

,,2[1].უნივერსიტეტში არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის მოადგილე, მოადგილის თანამდებობაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ინიშნება აღნიშნული თანამდებობის პირის არჩევის/დამტკიცების ვადით. შესაბამისი ადმინისტრაციული თანამდებობის პირისუფლებამოსილების შეწყვეტისას აღნიშნული ადმინისტრაციული თანამდებობის პირის მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ ახალი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის არჩევისთანავე/დამტკიცებისთანავე. “.

9. 41-ე მუხლის:
ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;“;

ა.ბ) ,,დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ე“ ქვეპუნქტი:
,,ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების არ მიღება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.“;

ბ) მე-5 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ერთსა და იმავე სავალდებულო სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი ან სხვ.) სამჯერ კრედიტის ვერმიღება;".

10. 47-ე მუხლის:

ა) მე-2 - 5[1] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, უნივერსიტეტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხისაღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უარი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

5. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5[1]. უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

11. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 48. უნივერსიტეტის ბალანსის შედგენა და შემოწმება**

უნივერსიტეტი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. უნივერსიტეტის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელიაუდიტორი.“.

12. 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებით.“.

13. 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წესდებაში ცვლილების პროექტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავებს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭო.“.

14. 51-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსისმე-3 პუნქტი:

,,3. ამ წესდების 33-ე მუხლის 2[1] პუნქტის ძალაში შესვლის დროისათვის არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის მოადგილეებს, მოადგილის თანამდებობებზე

შრომის ხელშეკრულების ვადა განესაზღვროთ შესაბამისი არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირების არჩევის/დამტკიცების არსებული ვადებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი

განმარტებითი ბარათი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამის ნაწილებში და ფიქსირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელის შეცვლას, ხსენებული სამინისტროსათვის განსაზღვრული ახალი სახელით - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რაც განპირობებულია უნივერსიტეტის წესდების ,,საქართველოს მთავრობისსტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან (საქართველოს კანონი ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში" ცვლილებების შეტანის თაობაზე", დოკუმენტის N3822-XIIIმს-Xმპ, სარეგისტრაციო კოდი 010240010.05.001.102058, მიღებისთარიღი - 30.11.23 წ. გამოქვეყნების თარიღი - 15.12.23წ.) შესაბამისობაში მოყვანით.

ცვლილებების პროექტით ასევე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის დანიშვნის ახლებული წესი. კერძოდ, ამჟამად არსებულ წესით, დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს. ცვლილება ითვალისწინებს დეკანის მოადგილის თანამდებობაზე, ზოგადად უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალის დანიშვნის შესაძლებლობას სასწავლო სფეროში დეკანის მოადგილის შემთხვევაში, რომელსაც უნდა ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება სასწავლო პროცესის ორგანიზების მხირვ, ხოლო სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილე, სულ მცირე, უნდა ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. აღნიშნული ცვლილების მიზანი ისაა, რომ დღეს არსებული დანაწესით სამეცნიერო დარგში დეკანის მოადგილის თანამდებობაზე დანიშნული პირი შესაძლებელია არ იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, რადგან ამ თანამდებობაზე დასაქმების უფლება ეძლევა ასისტენტის თანამდებობის მქონე პირსაც, რაც სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილის თანამდებობისათვის მართებული არ არის.

ცვლილებების პროექტით ასევე გათვალისწინებულია არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა მოადგილეების დანიშვნა ვადით და არა უვადოდ (როგორც ეს დღეის მდგომარეობით არის რეგულირებული). ცვლილებების საფუძველზე ხსენებული თანამდებობების პირთა მოადგილეების დანიშვნის ვადა განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული თანამდებობაზე პირის არჩევის/დამტკიცების ვადით და მოადგილეების თანამდებობაზე დასაქმებული პირები გათავისუფლდებიან თანამდებობიდან ავტომატურ რეჟიმში შესაბამის

ადმინისტრაციულ თანამდებობის პირის არჩევის/დამტკიცების ვადის გასვლისთანავე, თუმცა შეინარჩუნებელ შრომით ურთიერთობას ახალი კანდიდატის არჩევის/დამტკიცების მომენტამდე. ამავე დროს, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით არსებული მოადგილეების უვადო თანამდებობეზე დასაქმებულია შესაბამისი პერსონალი, წესდების ცვლილებები ითვალისწინებს შესაბამის ნორმას, რომლის მიხედვითაც მათი დასაქმების ამჟამინდელი ვადა განისაზღვრება შესაბამისი არჩევითი ადმინისტრაციული თანამდებობის ამჟამად არსებული პირების არჩევის/დამტკიცების არსებული (დარჩენილი) ვადებით.

ცვლილებების პროექტით ასევე ახლებურად განიმარტება ადმინისტრაციული რეგისტრაცია, როგორც სტატუსის შეჩერების საფუძველი, ამჟამინდელი რედაქციით იგი გათანაბრებულია მხოლოდ ფინანსურ დავალიანებასთან, რაც მისი მხოლოდ ერთი სახეობის დატვირთვაა და ამგვარი გაიგივება იწვევს დაბნეულობას, რადგან ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის სწავლის საფასურის გადახდა დადგენილი წესით, მომავალ სასწავლო სემეტრზე საგნების არჩევისა და სწავლის მიზნით და არ წარმოადგენს მხოლოდ ფინანსური დავალიანების ქონის აღმნიშვნელ ინსტიტუტს. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებებით აღნიშნული ხარვეზი სწორდება.

ცვლილებების პროექტითასევე იცვლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის ფორმულირება, კერძოდ, დღევანდელი ფორმულირებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ,,ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერ მიღება", რაც არ წარმოადგენს სრულფასოვან ფორმულირებას, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტს არ წარმოადგენს მხოლოდ სასწავლო კურსი, რაც აჩენს უთანასწორობის, დისკრიმინაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, ცვლილებების პროექტით ხორციელდება სათანადო რეაგირება, ნორმის ფორმულირების, დასარეგულირებელი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ობიექტურობისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის შინაარსობრივი სისწორის უზრუნველსაყოფად.

ცვლილებების პროექტით, ასევე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს ემატება კიდევ ერთი საფუძველი, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224/ნ ბრძანების შესაბამისად.

ცვლილებების პროექტი ასევე ეხება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის აუცილებელი ხმების ოდენობის შეცვლას. კერძოდ, დღის მდგომარეობით აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით აუცილებელია საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა, მაშინ, როდესაც მაგალითისათვის ამავე საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდადატურის შერჩევისა თუ რექტორის არჩევის შემთხვევაში საკმარისია აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის

უმრავლესობა. ცვლილებების პროექტით შემოთავაზებულია მოდელი, როდესაც აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარისი იქნება საბჭოს სიითი შემადგენლობისუმრავლესობა.

ცვლილებების პროექტითასევე დაკორექტირდა წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ" ქვეპუნქტი, შესაბამისად საქართველოს საკონსიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა (საქართველოსსაკონსტიტუციოსასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლისგანჩინება№1/4/1691–ვებგვერდი, 01.03.2023წ.)

წესდების ცვლილებები არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს, არც სახელმწიფო და არც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.